პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 პარასკევი 9 მაისი № 108 (16234) ფასი 2 კაპ. 1975

9 მაისი საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების დღეა

მოგილოცავთ გამარჯვების დღესასწაულს, ძვირფასო თანამემამულენო!

საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება კრემლის ყრილობათა სასახლეში

8 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლე განსაკუთრებით საზეიმოდ იყო მორთული. შესასვლელთან ფლაგშტოკებზე ფრიალებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. სასახლეშია საბრძოლო დიდების შარავანდედით მოსილი იმ ჯარის ნაწილების დროშები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრძოლებში. გვერდით დგას ფრონტების იმ გაერთიანებული პოლკების შტანდარტები, რომლებიც მონაწილეობდნენ გამარჯვების პარადში წითელ მოედანზე 1945 წლის ივნისში.

კრემლში, ყრილობათა სასახლეში, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ ომისა და შრომის ვეტერანები — საბჭოთა კავშირის გმირები, დიდების ორდენის სრული კავალრები, სოციალისტური შრომის გმირები, რომლებიც დღესასწაულზე ოდაქალაქში ჩამოვიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მშრომელების, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები.

დარბაზში არიან საზღვარგარეთის დელეგაციები, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმზე. აქვე არიან სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

სცენის ცენტრში დგას ვ. ი. ლენინის ბიუსტი. ციფრები „1945“ და „1975“ მოგვაგონებს მშვიდობიან ოცდაათწლეულს, რომელიც საბჭოთა ხალხმა ომის შემდეგ გაიარა. სცენის სიღრმეშია გამარჯვების ორდენის გამოსახულება.

15 საათია, შეკრებილნი ფეხზე ამდგარნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ლ. ი. **ბრეჟნევს**, ი. ვ. **ანდროპოვს**, ა. ა. **გრეჩკოს**, ვ. ვ. **გროშინს**, ა. ა. **გრომიკოს**, ა. პ. **კირილენკოს**, ა. ნ. **კოსიგინს**, თ. დ. **კულაკოვს**, ა. ი. **პელშეს**, ნ. ვ. **პოდგორნის**, დ. ს. **პოლიანსკის**, მ. ა. **სუსლოვს**, პ. ნ. **დემიჩევს**, ბ. ნ. **პონომარიოვს**, მ. ს. **სოლომენცევს**, ვ. ი. **დოლგიხს**, ი. ვ. **კაპიტონოვს**, კ. თ. **კატუშევს**.

მათთან ერთად პრეზიდიუმში არიან სოციალისტური ქვეყნებისა და ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები, ომის ვეტერანები, შრომის მოწინავენი.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. გროშინმა.**

ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

სამხედრო მარშის ხმაზე შემოაქვთ გამარჯვების დროშა, რომელიც 1945 წლის მაისში დამხობილ რაიხსტაგზე აღმართეს. დარბაზი საზეიმოდ ეგებება მას. გვარდიელთა საპატიო ესკორტისა და სსრ კავშირის სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების დროშების თანხლებით გამარჯვების დროშა მოაქვთ საბჭოთა კავშირის გმირებს ს. ა. ნეუსტროევს, მ. ა. ეგოროვსა და მ. ვ. ქანთარიას.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევს.** საზეიმო კრების მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ მას.

(გაგრძელება 3ე-2 გვ.).

მოსკოვი. 8 მაისი. კრემლის ყრილობათა სასახლე. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. სურათზე: საზეიმო კრების დრეს.

(სპეციალ.-საინფორმ.).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო თანამემამულენო!

ძვირფასო ფრონტელებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ამ საზეიმო დღეებში ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი ოჯახი, მთელი ჩვენი ხალხი ცოცხლობს 1945 წლის დაუვიწყარი მაისის მოგონებებით, ჩვენ თითქოს ხელახლა განვიცდით იმ მაღალ სულიერ აღმავლობას, რომელსაც მაშინ განიცდიდა ხალხი, ხანგრძლივი და სასტიკი ომის შემდეგ ძნელად მოპოვებული მშვიდობის ბედნიერება რომ შეიგრძნო.

ჩვენ ომი არ გვჯერდებოდა, მაგრამ როცა იგი დაიწყო, საბჭოთა ხალხი ვაჟკაცურად ჩაება აგრესორთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ჰიტლერელებმა ჩვენს წინააღმდეგ დაძრეს ომის უზარმაზარი მანქანა. ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს განსაკუთრებული სისასტიკით. რომელსაც ვერც ზომას, ვერც სახელს ვერ მოუძებნი. თითქმის ოთხი წლის მანძილზე ჰქუხდა თავისი გააფთრებით არნახული ბრძოლები. რომლებშიც ორივე მხრიდან მილიონობით ჯარისაკი მონაწილეობდა.

საბჭოთა იარაღი მარადიული დიდებით შემოსა დამპყრობთა არმიების შემუსვრამ მოსკოვთან, ლენინგრადის დაცვამ, გმირი სტალინგრადის ეპოპეამ, კავასიისათვის ბრძოლამ, კურსკ-ორიოლის რკალზე გრანდიოზულმა შერკინებამ, კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაციამ, ბერლინის ძლევამოსილმა შტურმმა და ბევრმა სხვა უდიდესმა ოპერაციამ, რომლებიც სამუდამოდ შევა ომების ისტორიაში.

საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც უმძიმესი განსაცდელი გადაიტანეს, დაიცვეს სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვრები, საქმე, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გვიანდერძა.

საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ ძირეულად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობა. ბრძოლები გაიაღდა უზარმაზარ სივრცეზე — ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე, გრენლანდიის ყინულებიდან აფრიკის უდაბნოებამდე, მაგრამ საომარი მოქმედების მთავარი ასპარეზი გახდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი. არსებითად აქ წყდებოდა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ ავრეთვე მთელი კაცობრიობის ბედი.

ახლანდელი დღესასწაული ფაშიზმის წინააღმდეგ დიადი ბრძოლის ყველა მონაწილის დღესასწაულია.

ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა ის, რომ აქ, ჩვენს საზეიმო კრებას, ესწრებიან ბევრი ქვეყნის მრავალრიცხოვანი პარტიული, სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადოებრივი დელეგაციები. საბჭოთა ადამიანები სულითა და გულით მიესალმებიან თავიანთ საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ, რომ ჩვენთან ერთად გაიზიარონ დიდი, საყოველთაო-სახალხო ზეიმის აღფრთოვანება და სიხარული.

ჩვენ მივესალმებით ამ დარბაზში მყოფ მოძმე სოციალისტური ქვეყნების — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებს.

ჩვენ გულითადად მივესალმებით ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებიდან — დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საფრანგეთიდან ჩამოსულ პატივცემულ სტუმრებს. საბჭოთა ადამიანები მოხარული ვიყავით, რომ უმასპინძლონ ამ დღეს ჰიტლერული აგრესიისა და დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს თანამებრძოლებს:

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირული ბრძოლა კომუნისტების მეთაურობით, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის პატრიოტების მიერ შექმნილი არმიებისა და შეხაერთების მამაცობა, სახალხო აჯანყებანი სლოვაკეთში, რუმინეთში, ბულგარეთში; ალბანელი ხალხის ვახმათავისუფლებელი ბრძოლა, წინააღმდეგობის მოძრაობა, პარტიზანული რაზმების მოქმედება საფრანგეთში, იტალიისა და სხვა ქვეყნებში, ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის ბრძოლა, მოწინააღმდეგის ბანაკში — „ყველიდან“ ეს საბოლოოდ შეუერთდა საბჭოთა ხალხის ბრძოლას, იქცა ერთ ძლავერ ნაკადად, რომელმაც ევროპის რუკიდან გადარეცხა მიხაკისფერი ტალახი.

ფაშიზმის განადგურებამ ღრმა კვალი დაამჩნია ბევრი ხალხის ცხოვრებას, შეცვალა მსოფლიოს სახე.

ათობით ქვეყანა განთავისუფლდა ფაშისტური უღლისაგან, აღიდგინა დამოუკიდებლობა.

პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და უნგრეთის, რუმინეთისა და ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებმა, ჩინეთის, ვიეტნამისა და ჩრდილოეთ კორეის ხალხებმა მიიღეს შესაძლებლობა აერჩიათ სოციალისტური განვითარების გზა. წარმოიშვა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. საერთაშორისო ცხოვრებამ განვითარება იწყო ახალი კანონებით.

(დასასრული 3ე-2 გვ.)

გმირობის უკვდავება

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებთან ერთად, რომელიც 8 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

აქ შეიკრიბნენ სამოქალაქო რიგისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ზურგის მშრომელები, ხუთწლედების გმირები, კომუნისტური შრომის დამკვრელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ამერკაკასიის წითელდროშოვანი საჰაერო და სასაზღვრო ოლქების გენერლები და ოფიცრები.

კრებას ესწრებიან გმირი ქალაქის ელჩის დელეგაცია, იუგოსლავიის ქალაქ ლუბლიანის — თბილისის ძმადადგენის წარმომადგენლები.

სცენაზე ყვავილებში მოჩანს ვ. ი. ლენინის სულტპტურული პორტრეტი. ოქროსფრად ელვარებს ციფრი „30“, რომელიც ასე ბევრის მთქმელია თითეული საბჭოთა ადამიანისათვის. მას ამშვენებს „გამარჯვების“ ორდენის მაკეტი. შეიარაღებული ძალების, ჯარების, გვარეობათა საბრძოლო დროშებთან ყოველ წუთში იცვლება საპატიო ყარაული.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან პ. ვ. **ბოლაშვილი**, ა. ნ. **ინაური**, შ. დ. **კიკნაძე**, გ. ვ. **კოლბინი**, პ. ვ. **მელნიკოვი**, ზ. ა. **პატარიძე**, კ. ი. **პატიაშვილი**, ვ. მ. **სარაძე**, ე. ა. **შევარდნაძე**, გ. ხ. **ძოწენიძე**, გ. დ. **ჯავახიშვილი**, თ. ი. **მოსაშვილი**, შ. ვ. **ყარყარაშვილი**, ე. კ. **შარტავა**, ო. ე. **ჩერქეზიანი**. აქვე არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ზ. ბ. გელდიაშვილი**, **ვ. ი. ვადაჭკორია**, **ე. მ. ჯაფარიძე**, **ა. მ. ლაბახუა**, ქალაქ ლუბლიანის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციის მეთაური **ხ. კორბარი**, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. ვ. ბოლაშვილმა.**

დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირს, ყოფილ ოლპაკელ პარტიზანს **დ. ი. ბაქრაძეს.** მას წინადადება შემოაქვს აირჩიონ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეკრებილნი ერთსულოვნად ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს.

„დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

შეკრებილებმა მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს. ხშირად გაისმოდა ტაში.

ამფერკაკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარ-

(დასასრული 3ე-3 გვ.).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1975 წლის 9 მაისი, № 115, ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებებო. პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო. გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილენო!

დღეს ჩვენი ქვეყანა და მისი შეიარაღებული ძალები, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მშრომელები და მეომრები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცდაათ წლისთავს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა, მისმა სანელოვნანმა შეიარაღებულმა ძალებმა ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, გააფთრებულ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა. ისხნეს მსოფლიოს ხალხები დამონებისაგან. მთელ რიგ ქვეყნებს გაუსნეს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზა.

დიდ სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უსაკეთესობა, სოციალისტური ეკონომიკის ძლიერება, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მონოლითური მეგობრობა.

გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ხალხებმა და არმიებმა, სახალხო-განმათავისუფლებელი ძალებმა მებრძოლებმა, წინააღმდეგობის მოძრაობისა და ანტიფაშისტური ბრძოლის მონაწილეებმა.

ომიდან შემდგომ ჭლებში საბჭოთა კავშირმა, დაძლია რა ომის მძიმე შედეგები, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

გამარჯვების 30 წლისთავს ჩვენი ხალხი ეგებება ახალი მიღწევებით სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. ამ დღეებში კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანაში ახალი ძალით გაჩაღდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლიდის წარმატებით დამთავრებისათვის.

ხალხთა მეგობრობისა და თანაშემრომლობის განმტკიცების ლენინური კურსის ერთგული საბჭოთა კავშირი ომამდე სოციალიზმის ქვეყნებთან მჭიდრო ერთიანობით განუზრელად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს: აქტიური და მიზანდასახული საქმიანობით ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპების დამკვიდრებას.

ახლა იმპერიალიზმს აღარ შეუძლია დაუჯერებლად განაგებდეს ხალხთა ბედს, მაგრამ მისი აგრესიული ბუნება არ შეცვლილა. მოღიტარიზმისა და აგრესიის ყველაზე ეთავაზედებული ძალები ესწრაფვიან უკუღმა შეაბრუნონ მშვიდობიანი განვითარების პოზიტიური პროცესი.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას უსაფრთხოებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მაღალი სიფხიზლის სულისკვეთებით ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდისათვის ზრუნვას.

საბჭოთა მეომრები, ეგებებიან რა დიადი გამარჯვების დღესასწაულს, ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას ნაწილების, ხომალდებისა და შენაერთების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. ყოველდღიურ მხედრულ შრომაში ისინი იჩენენ სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებას, კომუნიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეალებისადმი, დიდი სამამულო ომის გმირთა ტრადიციებისადმი ერთგულებას და მზად არიან პარტიის მოწოდებით მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად დაიცვან სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი.

მივესალმები და ვუღოცავ შეიარაღებული ძალების ჰერად შემადგენლობას, დიდი სამამულო ომის ყველა ვეტერანს გამარჯვების დღესასწაულს.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღის 30 წლისთავის აღსანიშნავად ბრძანებს:

დღეს, 9 მაისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, ქალაქებში, სადაც განლაგებულია სამხედრო ოლქებისა და ფლოტების ჯარების სამმართველობები, ბერეზვე ქალაქებში, ბელგოროდში, ბრიანსკში, ვორონეჟში, გორკში, გროზნოში, დნეპროპეტროვსკში, დონეცკში, ირკუტსკში, კრასნოიარსკში, კურსკში, მურმანსკში, ოსკში, ორჯონიკიძეში, ოროლში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში, სმოლენსკში, ტულაში, ხარკოვში, ჩელიაბინსკში, იუჟნო-სახალინსკში მიცემულ იქნას საღამო საარტილერიო სალამი.

საუკუნეებს გასწვდება საბჭოთა ხალხის, მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშეთის მონაწილეების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ჩვენი სახელოვანი ქალებისა და ახალგაზრდების, წარსული ბრძოლების ყველა მონაწილისა და ზურგის მშრომელების დიადი გმირობა, რომლებმაც ოცდაათი წლის წინათ მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს საიუბილეო მედლები გადაეცათ

8 მაისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გროშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, ა. ი. პელშეს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს საზეიმო ვითარებაში გადასცა საიუბილეო მედლები „1941-1945 წლებიხ დიდ სამამულო ომში გამარჯვებიხ ოცდაათი წელი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საიუბილეო მედალი გადასცა ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის. (საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

მთელ მსოფლიოში განმტკიცდა პროგრესული დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ძალების პოზიციები. ყველგან გაძლიერდა კომუნისტური პარტიების აუტორიტეტი და პოლიტიკური გავლენა. დემოკრატიისა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებანი მოიპოვა მუშათა მოძრაობამ. პირველ ომისშემდგომ წლებშივე გაძლიერდა კოლონიური იმპერიების დაშლის პროცესი, რომელიც კოლონიალიზმის კრახით დამთავრდა.

XX საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყანა ორჯერ იდგა მსოფლიოს უდიდეს ცვლილებათა სათავეებთან.

ასე იყო 1917 წელს, როცა ოქტომბრის გამარჯვებამ ყველას აუწყა, რომ კაცობრიობამ დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა. ასე იყო 1945 წელს, როცა ფაშიზმის განადგურებამ, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, წარმოშვა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების მძლავრი ტალღა, რომელიც მთელ პლანეტას მოედო, განამტკიცა მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში.

ამიტომ მით უფრო გრანდიოზულად, მით უფრო დიდებულად წარმოსდგება მსოფლიოს წინაშე საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში. ეს გმირობა ისტორიაში შევიდა და მარად დაუვიწყარი დარჩება.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომის ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვება — ეს არის ჩვენი გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის გამარჯვება, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის გამარჯვება. ეს არის სახელოვანი საბჭოთა არმიის რევოლუციით შექმნილი, პარტიის მიერ აღზრდილი, ხალხთან შესისხლხორცებული არმიის გამარჯვება. ეს არის საბჭოთა სამხედრო მეცნიერების, ყველა გვარეობის ჯარების საბრძოლო ოსტატობის, ხალხის წიაღიდან გამოსული საბჭოთა მხედართმთავრების ხელოვნების გამარჯვება.

ბევრი რამ გადაიტანეს საბჭოთა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა ომის გზებზე. გულისმომკვლელი უკანდახევა, განუწყვეტელი, გააფთრებული ბრძოლები, დღეები, თვეები და წლები სიკვდილის გვერდით. ხანგრძლივი, მომქანცავი გადასვლები — ზამთრის სუსხსა და ზაფხულის პაპანაქებაში, გადაუღებელ შემოდგომის წვიმებსა და გაზაფხულის უგზოობაში.

ახლა, როცა სამი ათწლეულის შემდეგ იხსენებ ჩვენი არმიის, მებრძოლების, მეთაურების, პოლიტმუშაკების მაშინდელ ხვედრს, აღარც კი გჯერა, რომ ყოველივე მართლა მოხდა, რომ ამის ატანა შეიძლებოდა...

მაგრამ ავიტანეთ, ყოველივე ავიტანეთ, ყოველივე უკან მოვიტოვეთ და გავიმარჯვეთ, შევმუსრეთ ფაშისტი აგრესორი.

ყველა ჩვენგანი, ვინც ამ წლებში ტყვიის, ჭურვებისა და ბომბების წვიმაში მიდიოდა, მიდიოდა იმ აზრით, რომ მზად არის გასწიროს სიცოცხლე, ოღონდ გადაარჩინოს ჩვენი საყვარელი სამშობლო, ოღონდ თავისუფალი და ბედნიერი იყოს ჩვენი ხალხი.

ძნელი იყო გზა გამარჯვებისაკენ. ბევრი რამ დავკარგეთ ამ გზაზე. და დღეს უწინარეს ყოვლისა ვფიქრობთ იმათზე, ვინც ვეღარ დაბრუნდა ფრონტიდან, ვინც მამაპაპათა მიწას, სოციალიზმის სამშობლოს იცავდა და დაიღუპა.

დრო, რომელიც ომის წლებს გვაშორებს, საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად და სრულად შეეაფასოთ იმ მეომართა უკვდავი გმირობა, ვინც მკერდით შეეგება სიკვდილს სიცოცხლის გადასარჩენად, საყვარელი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ღირსების გადასარჩენად, სოციალიზმის გადასარჩენად. ისინი კვლავინდებურად იცოცხლებენ ჩვენთან — ჩვენს გულში და ჩვენს საქმეებში. ფეხზე ადგომით ვცვამ პატივი დაღუპულ გმირთა ხსოვნას, (ყველანი ფეხზე დგებიან, წუთიერი დუმილი).

მივმართავ რა ახლა ომის ვეტერანებს, მინდა ვთქვა: თქვენ პირნათლად მოიხადეთ ვალი ქვეყნის წინაშე, პარტიის წინაშე, ისტორიის წინაშე. დედა-სამშობლო მადლობას გიხდით. თქვენი სახელები სამუდამოდ ჩაიწერა საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეთა მატიანეში.

ამ მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა გმირი პარტიზანების სახელებიც, რომლებმაც დროებით ოკუპირებული მიწები ფაშისტი დამპყრობლებისათვის ჯოჯოხეთად აქციეს. და დღეს, როგორც განვლილი ომის ჭეშმარიტად სახალხო ხასიათის ერთ-ერთი ნათელი სიმბოლო, წარმოგვიდგება საბჭოთა პარტიზანის ვაჟკაცური სახე.

ომის სახალხო ხასიათი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ფრონტისა და ზურგის განუყოფელი, მონოლითური ერთიანობით, რამაც გაგვამარჯვებინა. უმოკლეს ვადაში ათასობით ქარხნისა და ფაბრიკის გადატანა ქვეყნის აღმოსავლეთში ჩვენი თავდაცვითი ძლიერების შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობის შრომითი გმირობა იყო. არად აგდებდნენ რა ყოველგვარ გაჭირვებას, ზურგის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა არმიისათვის მიეცათ სრულყოფილი იარაღი, რათა შეემოსათ და დაეპურებინათ ჯარისკაცი, უზრუნველყოთ მთელი სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობა. ომის დროს ისე შრომობდნენ, თითქოს ზღვარი არა ჰქონოდეს ადამიანის შესაძლებლობებს. და განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო ამასთან დაკავშირებით ჩვენი შესანიშნავი ქალები, რომლებმაც იკისრეს ფრონტზე წასული ვაჟკაცების სამუშაოს უდიდესი წილი.

სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს წვლილს, რომელიც ზურგის თავდადებულმა მშრომელებმა შეიტანეს საერთო გამარჯვებაში.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება დიდი სამამულო ომის წლებში განუყოფელია კომუნისტთა პარტიის მრავალმხრივი, გამოზნული საქმიანობისაგან. მისი ცენტრალური კომიტეტი ის შტაბი იყო, საიდანაც ხორციელდებოდა საომარი მოქმედების უმაღლესი პოლიტიკური და სტრატეგიული ხელმძღვანელობა. სწორედ პარტია რაზმავდა და აღუღაბებდა ათეულ მილიონობით ადამიანს, წარმართავდა მათს ენერგიას, მათს ნებასა და მოქმედებას ერთი მიზნისაკენ — გამარჯვებისაკენ. ომმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ პარტია და ხალხი ერთიანია, რომ ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს ამ ურღვევ ერთიანობას.

ძვირფასო ამხანაგებო! სულ უფრო თხელდება დიდი სამამულო ომის მონაწილეთა რიგები. მათი საქმენი, მათი გმირობა ლეგენდად იქცევა, ხალხის ხსოვნისა და ხალხის სულის ნაწილი ხდება. ისტორიული ბრძოლების ვეტერანების პატივისცემა, მათზე ზრუნვა — ჩვენი ცხოვრების ეს ზნეობრივი კანონი, ასევე კანონია ხელისუფლების ორგანოებისთვისაც და თვითეული მოქალაქისთვისაც. ახალი თაობები თავიანთ დედათა და მამათა გმირული საქმეების ღირსნი უნდა იყონ, ღირსეულად ატარებდნენ მათთვის ჩაბარებულ ესტაფეტას.

ფაშიზზე გამარჯვებამ საშუალება მისცა ჩვენს ხალხს არათუ უმოკლეს ვადაში მოეშუშებინა ომის ჭრილობები, არამედ ბევრად გაეზარდა კიდეც ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი, სახალხო მეურნეობის პროდუქციის გამოშვება. ამ დღეს ღრმა რწმენით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მტკიცე საფუძველი აქვთ და წარმატებით ვითარდებიან. ხოლო ამასთან ერთად გაცილებით უკეთ ცხოვრობენ ჩვენი ადამიანები.

ასეა ახლა. ამხანაგებო, ასე იქნება კვლავაც, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება ჩვენი პარტიის პოლიტიკის უცვლელი კურსია, რომელიც ახალი ძალით დადასტურდა მის XXIV ყრილობაზე.

მთლიანად ომისშემდგომი სამი ათწლეულის მანძილზე ჩვენი ეკონომიკაც, ხალხის კულტურული დონეც და ჩვენი საზოგადოების მთელი სახეც უკვე ბევრად შეიცვალა თვისებრივად.

ამის შედეგად უფრო მჭიდრო გახდა მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირი. კიდევ უფრო მჭიდრო გახდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური ერთიანობა, საბჭოთა ხალხის შეკავშირება.

ჩვენ ვიცით ჩვენი ძალები, ჩვენი შესაძლებლობანი და გულდაჯერებით შევყურებთ მომავალს. ჩვენი არმია მშვიდობის არმიაა. მას არა აქვს სხვა მიზნები, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გარდა.

ჩვენი ძალის ცხოველმყოფელი წყარო იყო, არის და იქნება კომუნისტური იდეურობა, პარტიის უდიდესი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა იყო ჩვენი მძლავრი იარაღი ომის დროს. იგი მძლავრი თაქტორია დღეს ჩვენ წინაშე მდგომი გრანდიოზული საშინაო და საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტაში.

ერთ წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა ჩვენი პარტიის მორიგ XXV ყრილობამდე. ყველა კომუნისტი, ყველა საბჭოთა ადამიანი ფიქრობს იმაზე, რომ ღირსეულად შეეგებოს ამ დიდ მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენი ხალხი, რომელიც დამკვრელური შრომით უპასუხებს პარტიის მოწოდებას, მიმდინარე წელს წარმატებით ამთავრებს მეცხრე ხუთწლედს. მთავრდება მომდევნო, მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შემოშაობა. მაგრამ პარტია ჭვრეტს მომავალსაც, ფიქრობს ჩვენი განვითარების პერსპექტივებზეც. გავა არცთუ ისე ბევრი წელი. და საბჭოთა ხალხი პრაქტიკულად გადაწყვეტს ამოცანებს, რომლებზეც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ ოცნება შეგვეძლო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა არსებითად უზარმაზარი მშენებლობაა. საბჭოთა ადამიანების, უწინარეს ყოვლისა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობის გმირული შრომა საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ ახალი უზარმაზარი ტერიტორიები და ბუნებრივი სიმდიდრეები ქვეყნის აღმოსავლეთში. სამშობლოს რუკაზე გაჩნდება ახალი საწარმოები და ქალაქები. ენერგიის ბატონ-პატრონები გახდებიან კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობები, რომლებიც მთლიანად შეიგებიან სრული საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისაგან.

დიახ, ამხანაგებო, ნამდვილად ოდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე. მათი გადაწყვეტა მოუხდება შემდგომში ჩვენს ახალგაზრდობას — იმათ, ვინც დღის ეუფლება ოსტატობას საამქროებსა და მინდვრებში, იმათ, ვინც ზის მერხებთან და სტუდენტთა აუდიტორიებში, მსახურობს საბჭოთა არმიის რიგებში.

ჩვენო ძვირფასო ქალიშვილებო და ჭაბუკებო, გახსოვდეთ: 40-იანი წლების ახალგაზრდა თაობამ თავისი მხრებით ზიდა სამამულო ომის ბრძოლების ძირითადი სიმძიმე. თქვენი ცხოვრება და მუშაობა მამათა მაგალითის ღირსი უნდა იყოს. პარტიასა და ხალხს სჯერა თქვენი და თქვენზე ამყარებს იმედს!

ამხანაგებო!

სოციალიზმის განმტკიცება ამავე დროს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებასაც ნიშნავს.

ოცდაათი წელია საბჭოთა ხალხი მშვიდობის პირობებში ცხოვრობს და შრომობს. ოცდაათი წელია ევროპა მშვიდობიან ვითარებაში ცხოვრობს. ეს უდიდესი მიღწევაა, და სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკამ.

მთელი ეს წლები მტკიცედ, დაუცხრომლად ვიბრძოდით მყარი მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესის საქმისათვის.

ეს იოლი ბრძოლა როდი იყო.

ის-ის იყო გაიფანტა კვამლი ბრძოლის ველებზე, რომ წავაწყდით „ცივ ომს“, რომელიც გააჩაღეს ყველაზე აგრესიულმა იმპერიალისტურმა წრეებმა. სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ცილისწამებისა და პროვოკაციების ნაკადები, ატომური შანტაჟი, ეკონომიური ბლოკადის ცდები იმ იმედით, რომ გამოიყენებდნენ ომის შედეგად ჩვენი ეკონომიკის დროებით სისუსტეს. — ყველა ამ საშუალებით იმპერიალიზმის ლიდერები იმედოვნებდნენ არ დაეშვათ სოციალიზმის განმტკიცება, ხელი შეეშალათ მსოფლიოში მისი გავლენის ზრდისათვის.

მაგრამ რეაქციის ძალები, რომლებმაც გააჩაღეს „ცივი ომი“, მოტყუვდნენ. მათ ვერ მოახერხეს სოციალიზმის ვერც ჩახშობა, ვერც შესუსტება.

სოციალისტური სოლიდარობის მძლავრმა ძალამ ვარშავის ხელშეკრულებითა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ უმძლავრეს ორგანიზმად გადააქცია. მისი პოლიტიკა ხახდა ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის ინტერესების დაცვის გადამწყვეტი ფაქტორი.

ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის, განთავისუფლებულ ქვეყნებთან მეგობრობის განმტკიცების ლენინურად პრინციპული და თანმიმდევრული მხარდაჭერა. ძმური კავშირი მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან. ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობასთან ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკას ანიჭებენ კიდევ უფრო მეტ ძალას, გაგლენასა და პოპულარობას მთელ მსოფლიოში.

ახლა ვითარებაში ბურჟუაზიული სამყაროს ხელმძღვანელებსაც უკვე ესმით, რომ „ცივმა ომმა“ თავისი დრო მოჭამა, რომ საჭიროა ახალი, უფრო გონივრული და რეალისტური პოლიტიკა. ჩვენს მოწოდებებს მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ ახლა სერიოზულად ეხმაურებიან ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე დადებულმა ხელშეკრულებებმა და შეთანხმებებმა იურიდიულად განამტკიცა ფაშიზმზე გამარჯვების ნაყოფი და შექმნა ევროპის საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობის ფაქტი. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული ტერიტორიული ფარგლებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული სოციალისტური ქვეყნებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული სოციალისტური ქვეყნებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბებული სოციალისტური ქვეყნებიდან ვერ ვერ ამოიღებ. ეს ნიშნავს, ომის შედეგ

ბა არც შეჩერება, ანუ [illegible] ბა იცხოვროს საიმედო უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის პირობებში. აქ გამონაკლისი არ შეიძლება!

სრულიად ევროპის თანამრიანის მონაწილენი ახლა ამთავრებენ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავებას, რომლებიც განსაზღვრავენ ევროპაში მტკიცე მშვიდობის საფუძვლებს. ამ კონტინენტის სახელმწიფოთა მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპებს და მათ შორის ნაყოფიერი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფორმებს. ალბათ ურიგო არ იქნებოდა, რომ ევროპის ეს გამოცდილება ამა თუ იმ ფორმით გამოიყენონ კონტინენტის სხვა სახელმწიფოებმაც.

და, რა თქმა უნდა. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების გულმოდგინე მეცადინეობის საწინააღმდეგოდ, რომლებიც დიდიხანია მოითხოვენ სამხედრო ხარჯებისა და საომარი მზადების შეკვეცას, მსოფლიოში გრძელდება უპრეცედენტო მასშტაბის გამალებული შეიარაღება.

ხოლო იარაღის, მათ შორის მასობრივი მოსპობის იარაღის ამგვარი დაგროვება სულ უფრო უაზრო ხდება. რაკეტულ-ატომური ომის გაჩაღება გარდუვალად მოსპობდა თვით აგრესორს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ბევრი სხვა ქვეყნისა და ხალხის უდიდეს ზარალზე, რომლებიც ფორმალურად არც კი იქნებიან ჩაბმული ომში. ცხადია ისიც. რომ დიდხანს ვერ შეუთავსდება ერთმანეთს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განვითარება და სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალის მუდმივი ზრდა. იარაღის გაუმჯობესება და დაგროვება.

ამიტომ არ კმარა მხოლოდ ლაპარაკი განიარაღებაზე, დროა დავდოთ კონკრეტული შეთანხმებანი სახელმწიფოთა საომარი მზადების შეკვეცის შესახებ. სწორედ ამისათვის იღვწის საბჭოთა კავშირი.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის თანმიმდევრული და მტკიცე მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგად, მსოფლიო სოციალიზმის ძალების ძლიერებისა და გაგლენის ზრდის შედეგად ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხე შემცირდა. და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ასეთი საფრთხე საბოლოო ანგარიშით საერთოდ აღმოიფხვრას.

იმათი ხსოვნა, ვინც დაიღუპა განვლილ დიდ ომში, როცა მშვიდობის საქმეს იცავდა, ხალხთა წინაშე პასუხისმგებლობა და მოვალეობა გვაკისრებს გაორკეცებული ენერგიით განვახორციელოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკა, ვიბრძოლოთ ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები მუდამ იქნებიან ამ ყველაზე კეთილშობილური და ყველაზე საჭირო ბრძოლის პირველ რიგებში.

ძვირფასო ამხანაგებო!

გამარჯვების ზეიმი მარტო ჩვენი საბრძოლო დიდების ზეიმი როდია. გრძნობას, რომელიც დღეს დაგვუფლებია, იზიარებენ ასევე მილიონობით ადამიანები, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, დედამიწის ყველა კონტინენტზე მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით სულითა და გულით მივულოცო ყველა საბჭოთა ადამიანსა და ყველა ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობარს გამარჯვების დიადი დღესასწაული.

ჩვენ ვულოცავთ ომის ვეტერანებს, გმირ ფრონტელებს, პარტიზანებსა და იატაკქვეშელებს, ზურგის თავდადებულ მშრომელებს, ყველას, ვინც თავისი ოფლით და სისხლით მოაახლოვა გამარჯვების ზეიმის სასურველი ჟამი.

ჩვენ ვულოცავთ ყველას, ვინც აღორძინებდა დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს, აღადგენდა სახალხო მეურნეობას, ვინც ომისშემდგომ წლებში კულტურის, მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური პროგრესის ახალ მწვერვალებზე აიყვანა ქვეყანა.

ჩვენ ვულოცავთ ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, რომელიც პირნათლად ატარებს მამათა ხელიდან მიღებულ ბრძოლისა და შრომის ესტაფეტას, კომუნიზმის მშენებლობის ესტაფეტას.

ჩვენ ვულოცავთ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც საიმედოდ იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით ბედნიერება ვუსურვო თვითეულ ოჯახს, ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატებანი ქვეყნის თვითეულ მშრომელს. დაე ომის ხანძარი არასოდეს არ შეხებოდეს ჩვენს მიწაწყალს!

დიდება საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და შთამაგონებელს!

დაე მუდამ იყოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეებმა უდიდესი აპლოდისმენტებით მოისმინეს. სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა

(გაგრძელება)

ომის ვეტერანთა სახელით სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირს, ლოხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშას ვ. ს. ტერეშჩენკოს. რაც უფრო გვშორდება 1945 წლის 9 მაისის დიუიწყარი დღე, თქვა მან, მით უფრო ნათლად წარმოიდგება მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხალხის გამარჯვების სიდიადე, რომლის შესახებ შთაგონებულად ილაპარაკა თავის დიდებულ სიტყვაში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. მისი სიტყვები გულში ჩამწვდომი და გასაგებია ომის ყოველი მონაწილისათვის, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის.

ვ. ს. ტერეშჩენკომ მოკლედ ილაპარაკა თავის საბრძოლო გზაზე. იგი მიესალმა ყველას, ვინც საბჭოთა ადამიანებთან ერთად იბრძოდა გამარჯვებისათვის ფრონტებზე და წინაღმდეგობის ძალებში.

ავტომობილშენებელმა შუშამ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები მთლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის დაცვას, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის განმტკიცებასა და განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობას. ჩვენი საერთაშორისო პოზიციების სიმტკიცეს, თქვა ორატორმა, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები. მუშათა კლასი კოლმეურნეებთან და ინტელიგენციასთან ერთად ესწრაფვის ყოველნაირად განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

სიერთო სახალხო ღონისძიებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მოსკოველებს, თქვა ვ. ს. ტერეშჩენკომ. ისინი უდიდესი აღმავლობით ემზადებოდნენ გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. შრომითს კოლექტივებში თარეოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ომის მონაწილეთა ამ დღეებში განსაკუთრებული მონდომებით, ფრონტულად შრომობდნენ. კარგად დაეგეგმარა ახალგაზრდა ცვლა. ახალგაზრდა მოსკოველთა ინიციატივით მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა მუშაობდა შინმოუსვლელების მაგვერადაც, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს გამარჯვებას.

ავტოქარხნის კოლექტივის, ყველა მოსკოველის სახელით მუშამ პირობა დადო, რომ დედაქალაქის მშრომელები კვლავაც გაამრავლებენ თავიანთ წვლილს კომუნისტური მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს კომუნისტთა დიადი პარტიის გარშემო, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXV ყრილობას.

ტრიბუნაზეა პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. თ. ფიოდოროვი. დიდი, გულწრფელი აღფრთოვანებით ვისმენდი თქვენთან ერთად, თქვა მან. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დიდებულ, მგზნებარე ბილოსლოგს, განსაკუთრებით ჩამწვდა გულში მისი თბილი, კეთილი სიტყვები, ვეტერანი მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშელების შესახებ.

ა. თ. ფიოდოროვმა აღნიშნა, რომ ბრძოლა მტრის ზურგში სულის სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო. იქ, ფრონტის ხაზიდან ასობით კილომეტრზე, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის, ლენინის საქმის, ოქტომბრის საქმის ერთგულების დიადი ცნებები განსაკუთრებული საზომით იზომებოდა. პარტიზანებმა და იატაკქვეშელებმა ბოლომდე მოიხადეს თავიანთი ვალი დედასამშობლოს წინაშე.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში, თქვა შემდეგ ორატორმა, ბევრი გმირული პარტიზანული ოპერაცია ჩაიწერა. მათ შორის ყველაზე შესანიშნავი გაბედული რეიდები მტრის ზურგში.

ამ რეიდებს მარტო დიდი საბრძოლო მნიშვნელობა კი არა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ელვის სისწრაფით ედებოდა სოფლიდან სოფელს, ქალაქიდან ქალაქს ცნობა: მოდის პარტიზანული ჯარი. თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ ფაშისტები, ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა ხალხი, მტკიცდებოდა მტერზე მომავალი გამარჯვების რწმენა.

ჭაღარა პარტიზანმა მეთაურმა თავისი და თანამებრძოლი ძმების სახელით მდაბალი სალამი გადაუცა მოსკოველებს: „თქვენი სიყვარულისთვის, ერთიანი ოჯახის ძმობის წმიდათაწმიდა გრძნობისათვის“.

სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და მილიონობით მსხვერპლის ფასად დაგვიჭია გამარჯვება. თქვა მან. ჩვენ წმიდად ვინახავთ დაღუპულთა ხსოვნას. პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვით ირეან გარემოსილი სამამულო ომის ვეტერანები, დაღუპულთა ოჯახები. ბევრი ყოფილი პარტიზანი და იატაკქვეშელი დღეს კვლავ კომუნისტური მშენებლობის მოწინავე ხაზზეა. მდიდარ გამოცდილებას, თავიანთი გულის მხურვალებას ისინი უზიარებენ ახალგაზრდებს — ჩვენს იმედს, ჩვენს მომავალს.

ჩვენ, ომის ვეტერანებმა, კარგად ვიცით, რა ფასად მოვიპოვეთ მშვიდობა, და ამიტომ მთელი სულითა და გულით ვაცხადებთ, რომ მხურვალედ ვუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სამშინაო და საგარეო პოლიტიკას, გულითად მადლობას ვუძღვნით ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს — ჩვენს მებრძოლ ამხანაგს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მშვიდობის და ხალხთა თანამშრომლობის განსამტკიცებლად დაუცხრომელი საქმიანობისათვის, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი პარტიის მორიგი, XXV ყრილობა, რომლის შესახვედრად ღირსეულად ემზადება მთელი საბჭოთა ხალხი, ახალ პორიზონტებს დასახავს მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა ომის წლების შრომის ვეტერანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის აგლომწარმოების ბრიგადირი ა. ი. ხრამცოვი. მან ილაპარაკა დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის შრომითს გმირობაზე.

იმ მრისხანე წლებში ურალი გახდა მძლავრი არსენალი, საბრძოლო ტექნიკის. იარაღისა და ტყვია-წამლის სამეგდარო, იგი ქვეყნის მთელი სამხედრო პროდუქციის 40 პროცენტს იძლეოდა.

შრომის ვეტერანმა გაიხსენა, რომ ურალზე მუშათა ინიციატივით შეიქმნა მობილისეთა საგანგებო სატანკო კორპუსი. მისთვის ყველაფერი—ტანკით და ზარბაზნით დაწყებული და ტანკისტის ტანსაცმლით დამთავრებული — ურალელებმა გეგმის გადამეტებით დაამზადეს თავიანთი შრომითი დანაზოგებით. იმ მრისხანე წლებში განსაკუთრებული ძალით ამოვლინდა საბჭოთა მოშის საოკეთესო თვისებები, მისი უსაზღვრო ერთგულება პარტიისადმი, ხალხისადმი, მამაცობა, სიმტკიცე, უმაგალითო შრომისმოყვარეობა, გულისხმიერება და სიკეთე. ომის შემდეგ ეს თვისებები კიდევ უფრო განვითარდა.

დიდად ამაღელვა დღეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულთბილმა სიტყვებმა ჩვენი მუშათა კლასის შესახებ, თქვა ა. ი. ხრამცოვმა, ქვეყნის ომისშემდგომ განვითარებაში, კომუნიზმის გზაზე პერსპექტიულ ამოცანათა გადაწყვეტაში მისი როლის დიდმა შეფასებამ.

30 წელი უომოდ—ეს. ძვირფასო ამხანაგებო. უბრალო რამ როდია. ამ ოცდაათი წლის მანძილზე ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა გასწია. ყოველივე ამისათვის მინდა მთელი სულითა და გულით ვთქვა ჩვენი დიდი მუშური მადლობა!

თაობიდან თაობას გადაეცემა სიტყვები იმათ შესახებ, ვინც მრისხანე განსაცდელის ჟამს ათრაოდან ხელში იცავდა საბჭოთა სამშობლოს, და იმათ შესახებ, ვინც ჭედდა ამ იარაღს, ვინც ამზადებდა ტანკებსა და თვითმფრინავებს, ვინც ადნობდა ფოლადს ჭურვებისათვის. გავა კიდევ მრავალი ათწლეული, მაგრამ არასოდეს არ შეწყდება ჩვენი ხალხის ვაჟკაცობისა და სიმტკიცის ჰიმნის ქება. მარადიულია მისი შრომითი და საბრძოლო გმირობის ესტაფეტა!

გულდაჯერებით ვამბობთ, რომ წარმატებით შეასრულებთ ყველა ჩვენს ამოცანას ომიტომ, რომ გვყავს ლენინური კომუნისტური პარტია, მასთან ერთად ჩვენს ხალხს ყველაფერი შეუძლია!

ჩვენმა ბრიგადამ, თქვა დასასრულ ორატორმა, თავისი ხუთწლედი ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ დაამთავრა. ახლა ვემზადებით პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ერთი სიტყვით, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ურალელებს შეგიძლიათ ენდოთ როგორც ბრძოლაში, ისე შრომაშიც!

მარშის ხმაზე დარბაზში მწყობრი ნაბიჯით შემოდიან ყველა გვარეობის ჯარების წარმომადგენლები. მათ სათავეში უდგას 25 საბჭოთა კავშირის გმირი. საზეიმო კრების მონაწილენი მიესალმებიან

(დასასრული ამ-ს გვ.).

1945 — 1975

საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა

(დასასრული)

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს.

სიტყვა ეძლევა პოდპოლკოვნიკ ვ. ა. იგნატოვს.

ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ, განაცდადა ოფიცერმა, ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის გამოსვლამ. ჩვენ მუდამ გვახსოვს, რომ თვით ლეონიდ ილიას-ძემ გამარჯვებული საბჭოთა არმიის რიგებში დიდი სამამულო ომის ძნიმე და ფრისხანე გზა გაიარა. სწორედ ამიტომ ამ შთაგონებული გამოსვლის თვითეული სიტყვა განსაკუთრებით აღგვაფრთოვანებს და მხურვალედ ეხმაურება ჩვენი გული.

პოდპოლკოვნიკმა განაცხადა, რომ მარად იეოცხლებს საბჭოთა მეომრების მიერ ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი გმირული საბრძოლო ტრადიციები. ისინი საშშობლოს დამცველთა ახლანდელმა თაობამ მიიღო საბრძოლო დროშებთან ერთად, რომლებთანაც იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის გმირები. თვითეულ ჩვენს მეომარს — დაწყებული ჯარისკაცთა და დამთავრებული მარშლით — წმიდათაწმიდა ვოვლეობად მიაჩნია გაუფრთხილდეს და ამრავლოს ეს ტრადიციები.

შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, ისევე როგორც ომის წლებში, არმიისა და ფლოტის მთავარი სიმდიდრე, მთავარი ძალა ადამიანები არიან. მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, იარაღის მარჯვე ხმარება, პირადი შემადგენლობის მხედრული ოსტატობა, ქვეგანაყოფებისა და ნაწილების სრული შეთანხმება, სამხედრო კადრების მიერ ჯარების მართვის ხელოვნება — ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების დიდი ბრძოლისუნარიანობის საწინდარია.

საბჭოთა მეომრების უმაღლესი მორალური სულისკვეთების უმრეტი წყარო იყო, არის და იქნება მათი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისა უკვდავი იდეებისადმი, უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და ხალხისადმი.

ჩვენ, მეომრებს, განაცხადა პოდპოლკოვნიკმა, უმთავრეს ბრძანებად გვესმის პარტიის მითითება ომის შესახებ, რომ ხალხის მშვიდობიანი შრომა, ქვეყნის უშიშროება საიმედოდ უნდა იყოს დაცული. ამ მითითების შესასრულებლად დაძაბულ მხედრულ შრომას ეწევა არმია და ფლოტის ყველა ნაწილი და შენაერთი. „ყოველ წამს მზად გიყოთ საბრძოლველად“! — ასეთია შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ცხოვრებისა და საბრძოლო წვრთნის დევიზი, რომლითაც დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს ვეგებებით.

დასასრულ ვ. ა. იგნატოვმა თქვა: ჩვენ, სამხედრო ადამიანები, უსაზღვროდ ვამაყობთ ჩვენი ხალხის გმირული სახელოვანი მიღწევებით და ამ საქმეში ჩვენი მონაწილეობით.

ამ დიადწყარო საათს შეიარაღებული ძალების ყველა მეომრის სახელით აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ყოველ წუთს მზად ვართ პარტიის მოწოდებით, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეომრებთან ერთად, იარაღით ხელში დავიცვათ სოციალიზმის ისტორიული მონაპოვრები.

ნება მიბოძეთ, როგორც წმიდათაწმიდა ფიცი, ისე წარმოვთქვა გულიდან აღმომხდარი სიტყვები:

დიდა-სამშობლოვ! შენი ჯარისკაცი, შვილები მუდამ საბრძოლო პოსტზე დგანან. შენი ეროვნებისა და ბედნიერების დასაცავად ისინი მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ, ხოლო თუ საჭირო გახდა, სიცოცხლესაც შეწირავენ!

საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც დაიცვეს საყვარელი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა — დიდება!

დიდება! — ერთხმად გაიძახიან მეომრები.

კომუნიზმის მშენებელ ჩვენს გმირ ხალხს — დიდება!

დიდება! — ერთსულოვნად იმეორებენ ისინი.

ლენინურ კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!

დიდება! — გუგუნებს პასუხად მეომართა მწყობრი.

კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ესალმებიან შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრების სახელით მისალმების მონაწილეებმა კრების პრეზიდიუმს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს გამარჯვებული საბჭოთა მეომრის გმირულ სახეს.

სიტყვას ამბობს ლენინგრადის ოდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბ. ალესკოვსკი.

ყველა ჩვენგანი დიდი მღელვარებით განიცდის ამ დიუვიწყარ წუთებს. არასდეს არ დაგავიწყდება ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის მკაფიო, გულში ჩამწვდომი გამოსვლა, ომისა და შრომის ვეტერანთა საუკეთესო სიტყვები, დღეგანდელი კრების მთელი სადღესასწაულო სიზეიმო ვითარება.

ამხანაგებთან ერთად, თქვა მან, გავიარე ჩემი მშობლიური ქვეყნის გრძელი და ძნელი ომის გზები, შემდეგ კი უნგრეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის გზებზე. ბევრი რამ ვნახე და გადავიტანე ამ წლებში, მაგრამ ყველაზე ღრმა კვალი ჩემს ხსოვნაში ლენინგრადმა დატოვა. როცა საშობლო საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ლენინგრადელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოიცვა უდიდესმა პატრიოტულმა აღმავლობამ, მტრის განადგურების საერთო სურვილმა! ასეთასობით ადამიანი, საწარმოთა მთელი კოლექტივები ითხოვდნენ ფრონტზე გაგზავნას, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, სახალხო მოლაშქრეთა რიგებში იყო. ქალები, მოხუცები და ბავშვები დღისით და ღამით მუშაობდნენ თავდაცვითს ნაგებობათა მშენებლობაზე. ეს იყო საშობლოსადმი, პარტიის საქმისადმი ერთგულების დამაჯერებელი დემონსტრაცია.

განუზომლად მძიმე იყო ბლოკადის 900 დღე. ფაშისტთა მარბიროსობას დაუპიროსპირდა ლენინგრადელთა ნება, მხურვალე პატრიოტიზმი, პიტერელ პროლეტართა რევოლუციური ტრადიციები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი მათი ერთგულება. ლენინის ქალაქის მცხოვრებნი ძუშაობდნენ და იბრძოდნენ, იხოცებოდნენ და იმარჯვებდნენ მოშავალი გამარჯვების უმრეტი რწმენით.

ალყაშემორტყმული ლენინგრადელები ერთი წუთითაც არ გრძნობდნენ, რომ მოწყვეტილი იყვნენ ქვეყანასა. ისინი მუდამ მებრძოლი ხალხის განუყოფელ ნაწილად რჩებოდნენ და გრძნობდნენ პარტიის ძუძთვ ზრუნვასა და მხარდაჭერას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქალაქს გაეძლო.

მოაზდინა რა უდიდესი გმირობა, საბჭოთა ხალხი ომდიან კომუნისტური პარტიის გარშემო განსაკუთრებით მტკიცედ შეკავშირებული ძალ-ღონითა და ენერგიით ალსავსე გამოვიდა.

კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებდნენ და ახორციელებენ ლენინურ პოლიტიკას საერთაშორისო ასპარეზზე. „ცივი ომის“ ძალების წინააღმდეგ მშვიდობისა და პროგრესის ძალების ძლიერ გამოსვლად გადაიქცა ბრძოლა პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელების ათვრ. დაძაბულობის შენელება გაბატონებული ტენდენციაა გახდა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

ქვეყნის მთელი ინტელიგენციის სახელით ორატორმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას აღუთქვა, რომ საბჭოთა მეცნიერები ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარებისათვის და ლენინური პარტიის XXV ყრილობას შეხვდებიან ახალი დიდი მიღწევებით.

ტრიბუნაზე ადის ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „12 თქტომბრის“ თავმჯდომარე ვ. ა. მალინინა.

ჩემთვის, აღნიშნა მან, განსაკუთრებული ძალი გაისმა დღეს ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები ხურგში ქალთა შრომითი გმირობის შესახებ. საბჭოთა ქალებმა ნამდვილად იკისრეს ფრონტზე წასული ვაჟკაცების სამუშაოს უდიდესი წილი, ისინი ისე შრომობენენ, თითქოს ადამიანის შესაძლებლობებს ზუგარი არა ჰქონდეს. და ამით მათ სამართლიანად დაიმსახურეს სამშობლოს დიდი მადლობა და უდიდესი მადლიერება.

ომ მეაცრ წლებში ფრონტი და ზურგი ერთიანი საბრძოლო ბანაკი იყო. ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ, ოღონდ გამარჯვება ძოეახლოვებინათ.

ყველაზე მძიმე წლებში მუდამ მტკიცედ გვწამდა, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, რომ სრულ და საბოლოო გამარჯვებას მოვიპოვებთ მტერზე, და უდრეკად გადავიტანეთ მკაცრი განსაცდელი!

ოცდაათ მშვიდობიან წელიწადში ჩვენმა ქვეყანამ არა მარტო წარმატებით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, არამედ უდიდესი მწვერვალები დაიპყრო ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გუშჯობესებაში. დიდად განვითარდა ჩვენი სოფლის მეურნეობაც.

ეს მოწმობს, რომ დიდად ეფექტიანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები. ბილეთობრივ სოფლის მშრომელი ქალის სახელით, ჰ. ა. მალინინამ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ბრძნული სანინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, გულითადი მადლობა უძღვნა პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს — ყოფილ ფრონტელს, რომელმაც კარგად შეიცნო, თუ რა არის ომი, რა უბედურება და ტანჯვა მოაქვს ხალხებისათვის, — იმისათვის, რომ იგი ასეთი მხურვალე რწმენით, კოლოსალური ენერგიით იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, რითაც საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის მხურვალე მადლიერება და უსაზღვრო მადლობა დაიმსახურა.

სულითა და გულით მინდა მადლობა ვუთხრა იმისთვისაც, რომ ასე ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე, ჩვენი არაშემეშინაოდგანი ზონის, მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მადლიერებთ გოკრავთ თავს ამისათვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ.

ნება მიბოძეთ სოფლის მშრომელთა სახელით აღგითქვათ, რომ ამ ზრუნვას ახალი შრომითი მიღწევებით ვუპასუხებთ და ღირსეულად შევხვდებით ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა საბჭოთა ახალგაზრდობას. გაისმის მარშის ხმები და დარბაზში შემოაქვთ სამახსოვრო დროშები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დროშები, ორდენოსანი კომკავშირული ორგანიზაციების დროშები. კოლონებში არიან ქვეყნის ახალგაზრდა მუშათა ცალის წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები. ქალიშვილები და ვაჟკაცები გამოწყობილი არიან მოკავშირე რესპუბლიკათა ლაშაზ ეროვნულ კოსტიუმებში, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლთა ფორმაში, პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საპარადო კოსტიუმებში.

ტრიბუნაზე ადიან ახალგაზრდა მუშა კოლმეურნე ქალი, სტუდენტი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, მოსწავლე გოგონა. გაისმის მათი ხმები:

ჩვენ ვლაპარაკობთ ომის შემდეგ შობილი თაობის სახელით. ჩვენს გულში, ყველა მომდევნო თაობის გულში მარად იცოცხლოს საბჭოთა ხალხის, მისი მამაცი შეიარაღებული ძალების დიდი გმირობა.

რამდენი ათწლეულიც უნდა გავაშორებდეს ომ-მრისხანე წლებს, არასოდეს არ დავიიწყებთ: საბჭოთა ხალხის ბრძოლის სულსაჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ლენინური კომუნისტური პარტია. ეგი თავის საუკეთესო შვილებს ყველაზე სახიფათო, ყველაზე ძნელი საქმისათვის გზავნიდა. მოსკოვიდან ბერლინამდე გამარჯვების პაროლად გაისმოდა სიტყვები: „კომუნისტებო, წინ!“.

საბჭოეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები ეპაპარაკობენ თავიანთ შრომითს საქმეებზე. შეკრებილნი ტაშით ხვდებიან კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა შრომითს პატაკებს.

საბჭოეთის ახალგაზრდა თაობა, ამბობენ ქალიშვილები და ჭაბუკები, მთელი სულითა და გულით იწონებენ და განუხრელად უჭერენ მხარს პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას.

ისინი გულითად მადლობას უძღვნიან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის საბრძოლო და შრომითი საქმეების შესახებ გულშიჩამწვდომი მამობრივი სიტყვებისათვის.

კრების მონაწილეთა ტაში გაისმა, როცა ბავშვებმა ყვავილები მიართვეს პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, ვეტერან მეომრებს.

დიადი გამარჯვების ოცდამეათე წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს ლენინური კომკავშირი, საბჭოეთის ახალგაზრდა თაობა საჯაროდ სდებენ ფიცს, რომ იქნებიან ლენინის საქმის, კომუნიზმის საქმის ერთგულნი, ფიცს აძლევენ მშობლიურ პარტიას, რომ მუდამ და ყოველთვის იქნებიან მისი მებრძოლი თანაშემწენი, საომედო რეზერვი, კომუნიზმის მშენებელთა დამკვიდრული რაზმი.

საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები ერთხმად გაიძახიან:

კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას — დიდება!

დიდება! დიდება! დიდება!

საყვარელ სამშობლოს მძლავრსა და თავისუფალს — დიდება!

დიდება! დიდება! დიდება!

სალუტ, გამარჯვება! ვაშა!

საბჭოეთის ახალგაზრდობის გამოსვლა მისი ანგარიშია უფროსი თაობის წინაშე, კომუნიზმის იდეალების ერთგულების ფიცია.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის სამხედრო მარშის ხმა და გამარჯვების დროშა გაიქნა დარბაზიდან.

საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. სასახლის თაღებქვეშ ღერის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და დაადგინეს, რომ 1975 წლის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭოს მირზა ვედეონის-ძე გელოვანს (სიკვდილის შემდეგ) — დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის.

მირზა გელოვანი

ლექსი-ჯარისკაცი

უშინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მაღალი ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ ამაყად გაისმა სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაღუპული ჭაბუკი პოეტის მირზა გელოვანის ლექსის შთამბეჭდავი სტრიქონები.

1941 წელს, საშშობლოს დამცველთა რიგებში მყოფი მგზნებარე პოეტი, რომელიც მაშინ მხოლოდ 24 წლისა იყო, თიანეთში შშობლებისა და დებისადმი გამოგზავნილ ბარათში წერდა: „გჯეროდეთ ჩემი, ძვირფასებო! თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ ტყვის სიცოცხლეს ჩემსას... მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც პანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით... არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს ახლა, როგორიც აქვს ჩემს ამხანაგებს“.

ასეთი დიდი, სამშობლოს სიყვარულით ამღერებული გულით წერდა მირზა გელოვანი ლექსებს სამამულო ომის იმ ქარცეცხლიან დღეებში. ნაზი პოეტური სუნთქვა, მძაფრი სულიერი ტკივილები და გამარჯვების უდიდესი რწმენა უკვდავყოფდა მის მადლიან შემოქმედებას.

მირზა გელოვანმა თავისი ცხოვრების ოცდამერვე გაზაფხული ვეღარ გაითვალა, როგორც სიტყვის ოსტატმა და მებრძოლმა თავისი ბანმოკლე სიცოცხლე, თავისი დიდი და წრფელი გული საბჭოთა ქვეყნის თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა. მშობელი ხალხის უკვდავ ხსოვნაში მარად ჭაბუკად დარჩა, ხოლო მის ლექსებში მარადიულმა გაზაფხულმა დაისადგურა.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სასიხარულო დადგენილებას, რომ მირზა გელოვანს დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

ვფიქრობთ, კვლავაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით პოეტის ლექსების წაკითხვა, რომლებსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

ეთაყვანებიდან სვოლენსკამდე

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზაა შორი,
უფრო შორი — გზა ბრძოლის და მწუხარების.
გახსოვს ღამე? — გავუძვერით ნაღმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ უუმბარები.
გახსოვს დნეპრი? — მდვრიე, როგორც გათენება,
დნეპრზე მდვრიე შემოდგომის მდვრიე ქარი.
დაჩეხილებს თბილისის ცა გვამთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.
მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება,
ვეტყვი, რომ შენ წაიეცი, როგორც მუხა,
როგორც ფშაველ მონადირეს ეკიდრება.
გული დარჩა, და როდესაც ხელჩართული
დნეპრს გადადმა ჩადგა ომის მქუხარება,
მე ვიგრძენი საგულეში შენი გული
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთე უუმბარები.

1943 წელი.
ფრონტი.

ნუ ეფერ

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნეში,
რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნეში,
მთაწმინდის მხრებზე მზე. იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —
გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

1943 წ.

არმიის გენერალს ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა „მარშლის ვარსკვლავი“

8 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა არმიის გენერლის მხედრული წარჩინების ნიშანი — „მარშლის ვარსკვლავი“. (საკვესი).

ქმერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს
გატონ ჯერალდ ფორდს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ამ დღეებში მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები ზეიმით აღნიშნავენ ისტორიულ თარიღს — მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების ოცდამეათე წლისთავს.

ეს საერთო დღესასწაულია ანტიჰიტლერული ქვეყნების კოალიციისა, რომელთა ხალხებმა და არმიებმა გააერთიანეს თავიანთი ძალები საერთო მტრის განადგურებისათვის. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას ანტიჰიტლერულ კოალიციაში იმ ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რომლებმაც ფაშისტური აგრესია განიცადეს. 30 წლის წინათ პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ შესაძლებელია ჩვენი ქვეყნების ეფექტიანი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს დაძაბულობის შენელება, ძალას იკრებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ტენდენცია. ჩვენი ქვეყნების ღონისძიებების შედეგად მიღწეულია არსებითი პოზიტიური ძვრები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაშიც. საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცება არა მარტო შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძირეულ ინტერესებს, არამედ დიდი მნიშვნელობაც აქვს საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

ამ ისტორიული წლისთავის გამო ნება მიბოძეთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მოგელოცოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მთელ ამერიკელ ხალხს და გისურვოთ მშვიდობა და კეთილდღეობა. გამოთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ორი ქვეყნის კარგი ურთიერთობის შემდგომი განვითარება კვლავაც გაუწევს სამსახურს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ლ. ბრეჟნევი

დიდი ბრიტანეთის კრემლერ-მინისტრს
გატონ ჰაროლდ ვილსონს

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ თქვენ და დიდი ბრიტანეთის ხალხს ფაშისტ აგრესორებზე ისტორიული გამარჯვების 30-ე წლისთავს.

ეს არის ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების საერთო ფიესასწაული. საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ ინგლისელი ჯარისკაცის შამაცობა იმ მრისხანე ელებში, ახსოვთ განსაცდელი, რომელიც წლად გვხვდა ერთობლივ ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ.

ხალხები არ დავიიწყებენ უდიდეს მსხვერპლს, რომელიც გადიხადა ფაშისტი ბარბაროსებისაგან მთელი ევროპის გადასარჩენად. დღეს ჩვენ თაყვანს ვცემთ იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა ბრძოლას აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა უფლებისათვის—ეცხოვრონ მშვიდობიან პირობებში, იმისათვის, რომ არ განმეორდეს ახალი მსოფლიო ომის ტრაგედია.

ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოების მოქმედებამ დამაჯერებლად დაამტკიცა ბრაქტიკულად, რომ შესაძლებელია, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ეფექტიანი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბევრი სახელმწიფოსა და ხალხის ღონისძიებების მეოხებით ამქამად საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო ძლიერდება დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ტენდენცია. პოზიტიური ძვრები განსაკუთრებით საგრძნობია ევროპაში, რაც არ შეიძლება ქმაყოფილების გრძნობას არ იწვევდეს, რამდენადაც სწორედ ამ კონტინენტზე დაიწყო ორჯერ მსოფლიო ომების ხანძარი.

გამოთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი ღონისძიებები ყველაზე ხელს შეუწყობენ ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ლ. ბრეჟნევი ა. კოსიგინი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს
გატონ ვალერი ჟისკარ დ. ესტენს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ჰიტლერულ აგრესორებზე დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის გამო საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და მეგობარ ფრანგ ხალხს.

ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა გაერთიანებული ღონისძიებებით გავანადგურეთ ეს საშიში ავადმყოფობის უბოროტესი მტერი — გერმანიის ფაშიზმი, ვიხსენით მსოფლიო კულტურა და ცივილიზაცია.

აგრესორების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით მრისხანე წლებში გამოთქედა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საბრძოლო თანამეგობრობა. მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა და ფრანგი მეომრები. წინააღმდეგობის მებრძოლებთან ერთად საბჭოთა პატრიოტები ეწეოდნენ ბრძოლას საფრანგეთის მოწაწყალზე. ჩვენს ხალხს სამუდამოდ ეხსომება გმირები, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა ქვეყნებისა და ხალხების განთავისუფლებისათვის, მომავალ თაობათა მშვიდობისათვის.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი

კანადის კრემიერ-მინისტრს
გატონ პ. ტრიუდოს

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ თქვენ და მეგობარ კანადელ ხალხს მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიაზე თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გამარჯვების 30 წლისთავს.

ეს მოვლენა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების დღისასწაულია რომელთა ხალხებმა გაიერთიანეს თავიანთი ძალები საერთო მტრის გასანადგურებლად. საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ანტიჰიტლერულ კოალიციაში კანადის მონაწილეობას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო ბრძოლაში იმ ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომლებმაც ფაშისტური აგრესია განიცადეს. პრაქტიკულად დამტკიცდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების ეფექტიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ჩვენი ქვეყნების კარგი ურთიერთობა და სულ უფრო მზარდი თანამშრომლობა პოზიტიური ფაქტორია საერთაშორისო საქმეებში და დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში, რაც შეესაბამება საკეთილ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

გამოთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირი და კანადა მომავალ წლებში ერთად იმოქმედებენ, რათა დაამკვიდრონ დადებითი ძვრები საერთაშორისო ვითარებაში, შეეტანონ ხასიათი მიანიჭონ დაძაბულობის შენელებას, კიდევ უფრო განამტკიცონ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

ლ. ბრეჟნევი ა. კოსიგინი

ა. ნ. კოსიგინის სიტყვა
ლორდ ფაიანტბეტენთან

8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმზე სსრ კავშირში ჩამოსული ინგლისის ოფიციალური დელეგაციის მეთაური, დიდი ბრიტანეთის დედოფლის პირადი წარმომადგენელი, ფლოტის ადმირალი ლორდი მაუნტბეტენი და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკვესი).

გმირობის უკვდავეგა

(დასასრული).

ბის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ვ. მელნიკოვმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ ი. ნ. ცაცანაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკლმა ვ. ა. პაპინაშვილმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ვუდაუთის რაიონის ღერბიფნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. კ. ტკანნაბამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ი. ანჯაფარიძემ, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკის კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის კურსანტმა ა. შ. ფირცხალაიშვილმა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ბარნალის კოლმეურნეობის მეჩაიემ გ. ა. დუმბაძემ, დიდი სამამულო ომის მონაწილემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძ

მამულის სამსხვერპლოზე

რედაქციაში მოვიდა ელენე ლაზარეს ასული ელერდაშვილი, დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი, თბილისის 69-ე საშუალო სკოლის „წითელ კვალმაძიებელთა" ჯგუფის ხელმძღვანელი. იგი გამოეხმაურა ჩვენს წერილს „იალბუზის მიმართულებით". მანვე გადმოგვცა ფოტოსურათი, რომელზეც ალბომდილნი არიან ნალჩიკელი ქართველები ევგენია (ენენა) მელიტონის ასული მაისურაძე და თამარ გაბრიელის ასული ელერდაშვილი, აგრეთვე თამარის მეუღლე ივანე ჩიხრაძე და მათი მეგობრები. სურათი გადაღებულია 1937 წელს, ქ. ნალჩიკში.

ამჟამად თამარი თავისი ოჯახით თბილისში ცხოვრობს. მასთან შეხვედრამ და ანვე მოკვლეულმა მასალებმა აღადგინა ის, რაც 1942 წლიან დეკემბერში მოხდა.

ბუშინ ევგენია მაისურაძის გმირობაზე უთამამონეგლად ითქვა დიადი ბამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მაღალი ტრიბუნიდან ქ. თბილისში.

... 1942 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ჰიტლერელებმა ნალჩიკი აიღეს. ამ პერიოდისთვის უკვე ფრონტზე იყვნენ წასულნი ვანო ჩიხრაძე — თამარის მეუღლე, ვანო მაგომაევი — ევგენიას მეუღლე და კიდევ ბევრნი. ამთ შორის ევგენიას ძმებიც.

სახლში, რესპუბლიკანსკაიასა და კომუნისტიჩესკაიას ქუჩების კუთხის ეზოში, კი ერთძახეთის იმედად დარჩნენ ევგენია და თამარი, ორი ქართველი დედა. ევგენია სასტუმრო „ნალჩიკში" მუშაობდა ადმინისტრატორად. თამარი კი პავშვებს უვლიდა, სარეცხის ქირად აღებული კაპიკებით ედგათ სული, იდგა წამების დღეები.

... აგვისტოს ბოლოს სოფელ ხურჩუკისათვის ამჭედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. მანამდე კი ჩვენმა ნაწილებმა მზვერავები გაგზავნეს ამ რაიონში. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი ჰასან აბდულას-ძე ასანოვი. მზვერავები იშვიათად ებმებიან ბრძოლაში, მაგრამ, როცა ხურჩუკის მისადგომებთან ჯერმანელთა ნაწილებს გადაეყარნენ, უკანდასასვენი გზა აღარ იყო, უთანასწორო ბრძოლიდან მხოლოდ რამდენიმემ გამოაღწია. ბრძოლის ველზე დარჩენილთა შორის იყო ასანოვიც. იგი თანამებრძოლებმა ნაჩქარევად მიაბარეს მიწას. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ნალჩიკს.

ევგენია მაისურაძე.

ვანო ჩიხრაძე

... მაგრამ მოხდა სასწაული: ამ მხარეს ორიოდე დღის შემდეგ გამოვლილმა მწყემსებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ასანოვის ნახევრად დამარხული სხეული სიცოცხლის ნიშანწყალი. 15 დეკემბერს კი ევგენია აღელვებული შეგარდა თამართან.

— თამარ, ასანოვი ჩემთან არის...

— გაგიჟდი?!

— არა! ასანოვი ჩემთან არის, იგი ცოცხალია, თამარ...

თამარმა სარეცხს თავი მიანება, ევგენიას გაპყვა და ოთახში მართლაც დახვდა ასანოვი.

მხოლოდ იმ საღამოს გაიგო თამარმა ევგენიასა და ვილის დაბრუნების ნამდვილი მიზეზი: — ნალჩიკელ პარტიზანებს მაისურაძიანთ ეზოკარი ამოერჩიათ დაჭრილთა თავშესაფრად.

— გოგოებო, არის კიდევ ერთი ქართველი, პლატონ ჯელაძე, როგორმე უნდა მოძებნოთ იგი და გადასცეთ, რომ ჩვენს ყოფილ მეუჭდავმეანქანეს შეაყოვნოსოს ჩემი აქ ყოფნა! — უთხრა იმ დღეს ასანოვმა ევგენიასა და თამარს.

ევგენია და თამარი მეორე დღესვე დაუკავშირდნენ პლატონ ჯელაძეს და ძმეფდავი ქალიც მოვიდა.

იგი დიდხანს არ დარჩენილა ასანოვთან. წასვლისას კი თითქოს სხვათა შორის ურჩია:

— იქნებ ჯობდეს გესტაპოში გამოცხადდე, შენისთანები სჭირდებათ მათ...

მწარედ ჩაესმათ ევგენიასა და თამარს ეს სიტყვები.

სულ მალე, 19 დეკემბერს მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: — გესტაპომ ასანოვი და ევგენია დააპატიმრა. მეორე დღეს გესტაპომ წაიყვანა ევგენიას 10 წლის ვაჟი, ვილი.

25 დეკემბერს, „შობის" ღამეს, თამარს კარზე დაუბრახუნა ვიღაცამ.

— ვინ არის?

— ჩვენები! კარი გააღე! — გაისმა ქალის ხმა.

კარში ის ქალი იდგა.

— თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. უნდა ძმისესმინოთ!

თქვენ ასანოვის მეგობარი ხართ, ევგენია და ის ახლა გესტაპოს ხელში არიან. ევგენია სულელია და არაფერს არ ამბობს, მერე ინანებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება, თქვენ უნდა ნახოთ ისინი და ურჩიოთ თქვენ, სად არიან პარტიზანები, ასანოვმა უნდა აღიაროს, რომ ეს მათი ხელმძღვანელია და საერთოდ... გესტაპოსთან სამსახური უქმად არ ჩაუვლით...

— მე არ შემიძლია მათი ნასვა და ვერც ვერაფერს ვურჩევ... უარით გაისტუმრა თამარმა დაუადილებელი სტუმარი.

მეორე ღამეს კვლავ დაუკაკუნეს თამარს კარზე. ახლა ვიღაც მამაკაცი იდგა კართან და თავიდან დაიწყო წინადამის დიალოგი. დილით კი თამარი გესტაპოში გამოიძახეს.

გესტაპოს უფროსში თამარმა წინაღამის „სტუმარი" შეიცნო.

— ნუ ჯიუტობ, ხომ იცით, რომ საქმე მაინც გაიხსნება და თუ თქვენ დახმარებას გაგიწევთ, სიცოცხლეს შეინარჩუნებთ.

თამარი მართლაც დაფიქრდა და როცა სხვა გამოსავალი ვერ ნახა, ბავშვებთან ერთად ქალაქის სხვა უბანს შეაფარა თავი.

31 დეკემბერს პარტიზანები ნალჩიკში შემოვიდნენ, გერმანელებმა თანდათანობით უკანდახევა იწყეს. მეორე დღეს თამართან ნაცნობი მოვიდა და ასანოვისა და ევგენიას დახვრეტის ამბავი შეატყობინა.

ნაშუადღეკა თამარმა და კიდევ მეზობლის რამდენიმე ქალმა ტანჯსაწინააღმდეგო თხრილთან გვაძებიდან ძლივს გამოარჩიეს ევგენიას ცხედარი, ასანოვი უკვე წაესვენებინათ.

— როდესაც ვპანდით ევგენიას, ძვლები იფშვხებოდა საცოდავი ქალის სხეულში, — ამბობს თამარი, — ო, ევგენია, ჩემო ძვირფასო!.. შემდეგ ავდექით და ნალჩიკის ქალაქის სასაფლაოზე დავასაფლავეთ იგი...

□

ნალჩიკში, იმავე ეზოში დღესაც ცხოვრობენ მაისურაძეები. ეს ევგენიას ძმის მალაქია მაისურაძის ოჯახია.

ეზითა და კაკლის ხით დაბურულ ეზოში ვსხედვართ. იქვე შორიახლოს საბავშვო ბაღია. ისმის ბავშვების სიცილ-კიკინი, დადიან ადამიანები და ნალჩიკის ქუჩებში ყვავილთა ფარდაგი გაშლილა, ომი ხხოლოდ მოგონებებში დაბიჯებს აქ.

— 1902 წელს გადმოვედით აქეთ, — მიყვება მალაქია, — მამაჩემმა, მელიტონმა, დატოვა ონის რაიონის სოფელი წედისი და აქ ირჩია ცხოვრება. სამი ძმანი ვიყავით — თედო, გიორგი და მე, 1912 წელს ეკვეხიაც შემოგვეძატა. ომი რომ დაიწყო, სამივე ძმა პირველი დღეებიდანვე წავედით ფრონტზე. თედო ისედაც სამხედრო იყო, პოლკოვნიკი; გიორგი თბილისიდან გაიწვიეს; მე ლენინგრადში მოვხვედი და 1944 წელს იქ დავკარგე მაცხენა მკლავი. ფრონტიდან ბიძაჩემის წერილი მივიღე, სადაც მწერდა, რომ თედო როსტოვში დაეხვრიტათ გერმანელებს, ქენიასა და მისი ვაჟის ამბავიც იმ წერილმა გამაგებინა. მერე გიორგიც დაგვეკარგა, დედ-მამაც არ იყვნენ უკვე ცოცხლები და მკლავის დაკარგვის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, სახლის კარი გამოკეტილი დამხვდა. რას ვიზამდი, ცხოვრება მაინც თავისას მოითხოვდა და მეც ვცხოვრობ: — ...ქენია მხიარული, მაგრამ მტკიცე იყო ბავშვობიდანვე, პატიმრობაშიც არ გატეხილა... საცოდავი ჩემი დაიკო!

გოლაკოს ქუჩის 81 ნომერში კიდევ ერთი ქართველი ცხოვრობს, პლატონ ჯელაძე.

— დედის თვალწინ აწამეს ბავშვი, იგი იქვე მოკვდა პატიმრობაში და რას ნახავდნენ... მაინც არ გამოტყდა საცოდავი ქალი და მტერი უკან რომ იხევდა, დახვრიტეს კიდევაც... მასთან ერთად დახვრიტეს ასანოვიც.

ქალაქის ძველი სასაფლაოს ადგილზე დღეს ახალი საცხოვრებელი კორპუსებია წამოჭიმული. ნალჩიკი თანამედროვე საკურორტო ქალაქი გამხდარა. სამშობლოსათვის თავდადებულთა გრანიტის ძეგლებიდან იმზირება იმ დღეთა ისტორია. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის გაყვითლებულ ფურცლებში ასეთი აქტი აღმოვაჩინეთ:

— მხეცურად გაუსწორდნენ გერმანელები ევგენია მაისურაძესა და მის 10 წლის ვაჟს — ვილის. დედის თვალწინ აწამეს შვილი, მოაჭლიჯეს ყურები, ცხვირი, მოაჭრეს კბილები, რის შემდეგ ბავშვი გარდაიცვალა. მეორე ღამეს კი დედაც დახვრიტეს".

□

— ნალჩიკის არქივში მუშაობისას კიდევ ერთ აქტს წავაწყდით: — „გერმანელებმა ქალაქის ბაზარში დაჭირეს, აწამეს და შემდეგ დახვრიტეს 15 წლის ვანო ჩიხრაძე" — რატომ?

... კომუნისტიჩესკაიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში ცხოვრობს ლიზა სიმონის ასული ჩიხრაძე, ვანო ჩიხრაძის და.

— რა ვიცი, რატომ! რაღაც ქალდედებს დაატარებდა ხშირად, არავის გვეუბნებოდა, რა იყო ეს. მერე ბაზარში დაიჭირეს და ტანსაწინააღმდეგო თხრილთან დახვრიტეს, მერე. მეორე ძმაც დამეღუპა, დედმამაც გარდამეცვალნენ და მათი სურათების ამარა დავრჩი ცხოვრებაში. ომი რომ არა, საქართველოში ვაპირებდით გადასვლას ისევ, შობლიურ ონში, მაგრამ...

... ასე დარჩა ათასობით განუხორციელებელი ოცნება, რის მოყოლა არქივის ფერმკრთალ ფურცლებსაც უჭირს. მათზე მხოლოდ სევდიანი თვალები გვესაუბრებიან.

ზაურ ფიფია.

ნალჩიკი-თბილისი.

კიდევაც დაიზრდებიან...

მარნეულში გაისნა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მონუმენტი

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი... უმალვე ეს სტრიქონები გაგახსენდებათ, როცა მარნეულში, მდინარე ალგეთის ხეობის შემაღლებულ ადგილზე ახლახან აგებულ ანსამბლ-მონუმენტს — ქართველ დედას დაინახავთ. დედის დამუხრჭვნელ სახეს ამავე დროს მომავლის უდიდესი რწმენის, ოპტიმიზმის იერიც გადაკრავს: მას ეზრდება ორი ვაჟი, სამშობლოს მომავალი დამცველები. მათ ხელში დაჭერილი უზარმაზარი მახვილი მტერზე შურისძიების გამომხატველია.

გრანიტის ფართო კვარცხლბეკზე ამოკვეთილია ციფრები: „1941-1945".

მონუმენტ „ქართველი დედის" ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი.

იასონ და თეკლე ნოზაძეების ოჯახს ბევრი ვერ დაედრებოდა სოფელში. მათ სახლსა და ეზოკარმიდამოს ქვეყანა დანატროდა.

— ახლა რა გვაქვს, ბიჭები წამოგვესწრნენ, თვითონ გაიკვლევენ გზას—ეტყოდა ხოლმე იასონი ბეუღლეს და გაწკეპილ ულვაშზე გადაისვამდა ხელს.

ღიდი ღრო არ გასულა, რომ იასონმა თავში ხელი შემოიკრა და ყვირილით შეეარდა ეზოში.

— ვაიმე, შვილებო! — ესღა ამოხდა და მოწლი მოეკრა: თეკლე გაკვირვებული მისჩერებოდა ქმარს, არ იცოდა, რა ხდებოდა.

— ომი დაიწყო, ქალო, ომი!— თქვა ჩახლეჩილი ხმით იასონმა და ასასწარკვეთლებას მიეცა.

— ნუ გეშინიან, მორიგდებიან, შალე ჩადგება ომი—ანუგეშა ცოლმა.

სამშობლოსათვის!.. პირველსავე შეძახილზე ფრონტზე ყავდნენ მახვილი, ვანო, შალვა, ვალოდია.

ლევანმა განცხადებით მიმართა სამხედრო კომისარიატს: გთხოვთ გამიწვიოთ ფრონტზე, მსურს მეც ომი ვიყო, სადაც ჩემი ოთხი ძმაა. ბატარა ბიჭს, ჯერ ღინღლიც რომ არ ამოსვლოდა სახეზე, ყური არავინ ათხოვა.

ლევანი სულ სხვა ხასიათისა, დაუდგრომელი, უშიძარი და მეტად პრინციპული იყო — ამბობენ მასიანები. თქვა — უნდა გავხდე მფრინავიო და გახდა კიდეც.

თვალგულდაშრეტილი მშობლები მათი წერილებითღა ოცვებდნენ გულს.

— ომი მალე დამთავრდება, ცოტას კიდევ გაუძელით და ჩვენც დავბრუნდებით, — ანუგეშებდნენ ვაჟიკაცები მშობლებს, თავიანთ მეუღლეებს.

— „აბა, ლუბა, შენ იცი, როგორ მოიქცევი, — სწერდა თავის მეუღლეს უფროსი ვაჟიშვილი მიხეილი. — რაც ძველი იყოს. რამე, არ შეშინდე, შენ კითხე მცოდნეს და ისე გაუძეხი ჩვენს ბატარა ოჯახს. ბავშვებს მოეკიდე ყოჩაღად. ნაშოვნ და მონაგრებულს გაუფრთხილდი. იქნებ მშვიდობას და სიცოცხლეს მოვესწროთ და ყველაფერი ხელახლა. ლუბა, პაპიროსი მეჭირვებაო საქმეს. იქნებ მახორკას შეხედე ხალმე, ისიფი, მიყიდე, და მომაწოდე. ბიჭებს (ძმებს. ავტ.) ამბავი თუ გეიგონე, მაშინათვე მომწერე".

მეორე ძმა ვანო უმაღლესი განათლების მქონე ქიმიკოსი იყო, მასწავლებელი, მისი მეუღლე მარიამი კი — მექანიზატორი, პირველი ტრაქტორისტი ქალი სოფელ ბასუბანში.

უფროსი ლეიტენანტის ვანო ნოზაძის საარტილერიო ბატარეა ქერჩისა და სევასტოპოლის მისადგომებთან მუსრს ავლებდა ფაშისტებს.

მესამე ძმას — შალვა ნოზაძეს ყველა იცნობდა კოლმეურნეობაში. ზეინკლად მუშაობდა. მკვირცხლი და მოხერხებული ბიჭი იყო. მან თავისი ბედი უკრაინიდან ჩამოსახლებულ გოგონას — მანიას დაუკავშირა, მაგრამ, ვინ იცოდა, რომ მათ მხოლოდ რამდენიმე დღე ეწერათ ერთად ყოფნა.

— „დედი, ნოზაძე შალვა ვნახე ფრონტზე, შემთხვევით შეეგზდთ, — სწერდა ნოზაძეების მეზობელი გოგია ჩადუნელი თავის დედას.— როგორ დავიკაციებულა: ცხენზე იჯდა, კავალერისტის ტანსაცმელი ეცვა. ძალზე უხდებოდა..."

ის იყო და ის, შალვასი აღარაფერი იცოან.

ვალოდიას სამხედრო სამსახურში ყოფნისას მოუწია ომმა. ის ახოვანი, უშორმახარა ვაჟკაცი იყო. მისთვის არც ტანსაცმლის ზომა აბსებობდა და არც ფეხსაცმლისა. სწორედ ამის გამო ორი კვირა იჯდა ჯახარმაში, ელოდებოდა ეტერანები. ისინი კვირკვინებითა და ყვავილებით ამკობენ ძეგლს, რის შემდეგაც ეწყება შეროშელთა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ და მონუმენტის ავტორების მუშაობას ძალიან შეფასება მისცეს სამამულო ომის მონაწილემ ფ. ქერიმოვმა, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ნ. ჯანბერიძემ, სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა დ. შამათავამ, პოეტმა კ. კალაძემ და სხვ.

მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.



სურათზე: მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის ანსამბლ-მონუმენტი „ქართველი დედა".

ბ. გოგოხიას ფოტო.

ნოზაძეანთ ბიჭები

ცუთივე ფრონტზე დაეცა









სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა

მეოთხე ტურის სიურპრიზი

მოსკოვში გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა დიდი ტურნირი. გუშინ გაიმართა მეოთხე ტურის მატჩები.

ამ დღის სიურპრიზი იყო პირველი ფინალური ჯგუფის ერთ-ერთი პრეტენდენტის — ბელორუსიის გუნდის დამარცხება მესამე ქვეჯგუფის აუტსაიდერთან — ლიტვის ნაკრებთან 3:4. საქართველოს წყალბურთელებმა, რომლებიც ამავე ქვეჯგუფში გამოდიან, დიდი ანგარიშით 13:5 მოუგეს ესტონეთის გუნდს.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: უკრაინა-სომხეთი — 8:3, ლენინგრადი-ტაჯიკეთი — 6:2, ყაზახეთი-მოლდავეთი — 9:5, უზბეკეთი-თურქმენეთი — 5:3, რსფსრ-აზერბაიჯანი — 6:3.

როგორი მდგომარეობაა უკანასკნელი ტურის წინ ქვეჯგუფებში?

პირველ ქვეჯგუფში ლიდერები არიან უკრაინისა და რსფსრ-ის გუნდები. პირველს 3 თამაშიდან 6 ქულა აქვს, მეორეს — 4 თამაშიდან ამდენივე ქულა. მეორე ქვეჯგუფში ფინალის (პირველი ექვსეულის) პრეტენდენტები არიან მოსკოვისა და უზბეკეთის გუნდები. თვითეულ მათგანს 3 თამაშიდან 6 ქულა აქვს. მესამე ქვეჯგუფში ლიდერები არიან ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები. პირველს 4 თამაშიდან 8 ქულა აქვს, მეორეს — ამდენივე თამაშიდან — 6 ქულა.

დღეს წყალბურთელები ისვენებენ. უკანასკნელი ტურის მატჩები ქვეჯგუფებში 10 მაისს გაიმართება.

ფეხბურთი

მსოფლიოს სტადიონებზე

ლიუსელდორფი. „ბორუსიის" (გფრ) ფეხბურთელთა გუნდმა უეფა-ს თასის ფინალის პირველ მატჩში ფრედ — 0:0 ითამაშა პოლანდიის „ტვენტესთან". საპასუხო შეხვედრა გაიმართება 21 მაისს პოლანდიაში.

ბუდაპეშტი. უნგრეთის ნაკრებმა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი მოუგო ბულგარეთის გუნდს — 2:0 (1:0). საპასუხო ასპარეზობა შედგება 7 ივნისს სოფიაში.

„ოლიმპიელთა" ფრმ

როგორც ვიუწყებოდით საბჭოთა კავშირის და იტალიელების ოლიმპიურ ნაკრებთა პირველი შესარჩევი მატჩი ქალაქ ბანია-ლუკაში დამთავრდა ფრედ 1:1 (0:0) თამაშის 76-ე წუთზე მასპინძლებმა გაიტანეს ბურთი, რომელიც ოთხი წუთის შემდეგ გაქვითა ბულგაკოვმა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: პროხოროვი, ტოროკინი, ოლშანსკი, ოსიანინი, ლოგინევი, მაქსიმენკოვი, მ. მაჩაიძე (ხუდაევი), მინაევი, ჰაბაევი, (გლადილინი), ნიკონოვი, ბულგაკოვი.

საპასუხო შეხვედრა გაიმართება 21 მაისს მოსკოვში, ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში.

მოკლედ

ჩოგბურთი. დაიწყო დევისის თასის მორიგი გათამაშება. ეი როგორ დამთავრდა ჩერარპის „ა" და „ბ" ზონების პირველი წრის მატჩები: გფრ-შვეიცარია — 5:0, ბელგია-შვეიცარია—1:4, ესპანეთი—დანია — 5:0, უნგრეთი — ბელგია — 5:0, იუგოსლავია — ბულგარეთი — 4:1, მონაკო — ეგვიპტე არაბთა რესპუბლიკა — 1:3, ავსტრია — დიდი ბრიტანეთი — 0:4. უკანასკნელი ორი მატჩი არ დამთავრებულა სიბნელის გამო. საბჭოთა ჩოგბურთელები ბრძოლაში ნახევარფინალიდან ჩაებმებიან.

ვოლეიბოლი. 17 ქვეყნის სპორტსმენები შეიკრიბნენ ბერლინში, სადაც სტარტს იღებს შვიდიდის 28-ე. ველორბოლა. მისი მონაწილენი ბერლინს, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გზებზე 13 ეტაპად დაყოფილ 1923 კილომეტრს გაივლიან. წლევანდელ ველორბოლას წინ უძღვის შეიდგილმეტრიანი „ირენის ესტაფეტა", რომელიც ბერლინის ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართება. ამის შემდეგ, დღეს ასზე მეტი ველოსიპედისტი გამოვა პირველი ეტაპის სტარტზე (ბერლინი — მაგდებურგი, 167 კილომეტრი). საბჭოთა ნაკრებში (მწვრთნელი ვიქტორ კაპტარნოვი) ისპარეზებენ ბ. გუსიატნიკოვი, ა. ბუდნი, ვ. ოსკინი, ა. პეკუში, ვ. ჩაპლეგინი და ვ. ლიხაჩიოვი.

კალათბურთი. აშშ-ში ტურნეს მართავს კიევის იუნიორთა გუნდი. უკრაინელმა კალათბურთელებმა უკვე ორი შეხვედრა ჩაატარეს: მოიგეს სამი (ნიუიორკის, დასავლეთ ვირჯინიისა და ტენესის შტატების გუნდებთან) და წააგეს ერთი (ინდიანას შტატთან). საბჭოთა იუნიორები ამერიკაში კიდევ 4 მატჩს გამართავენ.

სამი მატჩი

საკავშირო. ჩემპიონატის მეორე ლიგის პირველი ზონის მატჩები გაიმართა ამას წინათ ჩვეული ქვეყნის სტადიონებზე. მოგვყავს ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა მონაწილეობით ზოგიერთი შეხვედრის შედეგები: ზუგდიდის „დინამო" — ბათუმის „დინამო" — 2:2, რუსთავის „მეტალურგი" — ანბლაბადის „სტროიტელი" — 2:1, ლანჩხუთის „გურია" — ინგილოკის „ხანკი" — 2:1.

ტელევიზია

9 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — კინონარკვევი, 10.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კონცერტი ბავშვებისათვის — „დაე, მუდამ იყოს მზე!", 10.55 — რეპორტაჟი წითელი მოედნიდან და ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მოედნიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა", 12.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცხრაკლიტული", 13.45 — ახალგაზრდობა ფიცს დებს — ახალგაზრდობის მანიფესტაცია, მიძღვნილი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი. ტრანსლაცია წითელი მოედნიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.05—გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.00 — დიადი გამარჯვების 30 წელი. უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვისადმი მიძღვნილი კინო და ტელე რეპორტაჟი ქერჩიდან და თბილისის გამარჯვების პარკიდან, 18.00 — კონცერტი — ოცდამეათე გაზაფხული, 18.15 — „წითელი რაფსოდია" — ლიტერატურული კომპოზიცია, 18.30 — რუსთაველები გმირ ქალაქში, 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — სატელევიზიო ფილმი „კონსტანტინე ლესელიძე" (პრემიერა, საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები), 19.10 — „დღეს გამარჯვების დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — დიადი გამარჯვების 30 წელი. საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის გახსნის ტრანსლაცია თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 19.50 — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ნათელი ხსოვნა — „დუმილის წუთი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — დიადი გამარჯვების 30 წელი. სამხედრო სპორტული ზეიმის ტრანსლაცია თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — კონცერტი, დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

16.00 — დიადი გამარჯვების 30 წელი. უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვისადმი მიძღვნილი კინო და ტელე რეპორტაჟი ქერჩიდან და თბილისის გამარჯვების პარკიდან. 18.00 — კინონარკვევი, 18.15 — „წითელი რაფსოდია" — ლიტერატურული კომპოზიცია, 18.30 — რუსთაველები გმირ ქალაქში, 18.40 — კონცერტი — ოცდამეათე გაზაფხული 18.50 — სატელევიზიო ფილმი „კონსტანტინე ლესელიძე" (პრემიერა, საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები), 19.10 — „დღეს გამარჯვების დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — დიადი გამარჯვების 30 წელი. საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის გახსნის ტრანსლაცია თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 19.50 — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ნათელი ხსოვნა — „დუმილის წუთი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — დიადი გამარჯვების 30 წელი. სამხედრო სპორტული ზეიმის ტრანსლაცია თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — კონცერტი. დასასრულ — ახალი ამბები.

თეატრები

9 მაისი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პაპამანი ცაში** (პრემიერა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **იეთიმ ბურჯი** (დღისით); **თმალი პატიოსანი** (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ბაბაჯანას ქოშები** (დღისით), **ზარში მიდის დღისეული** (საღამოს); მინიატურების — **ფრთხილად, ქმრები.**

ეს ვნახოთ, ეს ქოვილეთოთ

ქომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 93-73-24, ილუსტრაციის — 93-28-51.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 08756

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14